

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ საბერძნეთში მცხოვრები ქართველების იდენტობის შენარჩუნებას“

ინტერვიუ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საბერძნეთის რესპუბლიკასა და სერბეთში, იოსებ ნანობაშვილთან

ბატონო იოსებ, მოგესალმებით „ქართული გაზეთის“ სახელით და მადლობას მოგახსენებთ, რომ გამოხატეთ დრო ჩვენთან სასაუბროდ.

ჩვენი პირველი კითხვა შეეხება იმას, თუ რა შეიცვალა ბოლო წლების განმავლობაში საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობაში და როგორია ამ ურთიერთობების განვითარების პერსპექტივა?

საქართველო-საბერძნეთის ურთიერთობა ხასიათდება სტაბილურობით, კეთილგანწყობითა და თანამშრომლობით. ამდენად, ბოლო ორი წლის განმავლობაში ჩვენ შორის არ არსებობდა პრობლემა, რომელიც შეიძლება რაიმე სერიოზული უთანხმოების საგანი გამხდარიყო. ჩვენს ქვეყნებს აქვთ საერთო საგარეო-პოლიტიკური ვექტორები. საბერძნეთი არის ევროკავშირისა და ნატოს წევრი სახელმწიფო. ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად პროგრესირებს ამ მიმართულებებით და ამაში საბერძნეთს თავისი წვლილი შეაქვს. საქართველოსთან დაკავშირებით ევროკავშირის საერთო პოზიციის ფორმირების პროცესში საბერძნეთის მხარდაჭერა აუცილებელია. იგივე შეგვიძლია ვთქვათ ნატოს საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს ქვეყნებს საერთო ისტორია, რელიგია და ტრადიციული ურთიერთობები აკავშირებს. ამ თვალსაზრისით გასული ორი წელი საკმაოდ ნაყოფიერი იყო. არსებობს საკმაოდ ფართო სივრცე მომავალში ურთიერთობის განვითარებისთვის. ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა. გასამართია ჩვენ შორის ორმხრივი მაღალი დონის ვიზიტები, ჩასატარებელია ორმხრივი პოლიტიკური კონსულტაციები, შესაქმნელია ორმხრივი სამთავრობათაშორისო კომისია და სხვა. ასევე ვცდილობთ დავინტერესოთ ორი ქვეყნის ბიზნეს წრეები, რათა გაფართოვდეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები. ამისთვის კარგი ინსტრუმენტია საბერძნეთისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატების თანამშრომლობა.

გასულ წელს საბერძნეთის პარლამენტის დღის წესრიგში შეტანილი იყო ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაცია. ხელისუფლებაში „სირიზას“ მოსვლის შემდეგ აღნიშნული საკითხი პარლამენტის დღის წესრიგიდან ამოიღეს. თუ მუშაობს ქართული მხარე ამ მიმართულებით და რა პერსპექტივა გვაქვს?

დღეს მივიღეთ ოფიციალური ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საბერძნეთის მთავრობამ დაასრულა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცედურები და აღნიშნული საკითხი გადაუგზავნა საბერძნეთის პარლამენტს. „სირიზასთან“ ნაყოფიერი თანამშრომლობის იმედი გვაქვს. ამ პარტიაში არსებობს საქართველოსადმი კეთილგანწყობილი საკმაოდ დიდი ჯგუფი. გავრცელებულია მცდარი მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ევროპარლამენტში ხელშეკრულების რატიფიკაციის დროს „სირიზას“ წარმომადგენლებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა. სინამდვილეში წინააღმდეგი მხოლოდ ე. წ.

ულტრარადიკალები – „წითელი დაისის“ წევრები წავიდნენ. ამ ჯგუფს საბერძნეთის ხელისუფლების პოლიტიკაზე უმნიშვნელო გავლენა აქვს. ამას გარდა, საბერძნეთის პარლამენტში არსებობს ძლიერი ევროპული ორიენტაციის ოპოზიციური პარტიები და, ჩვენი წინასწარი გათვლით, რატიფიკაციის შესახებ კენჭისყრა წარმატებით ჩაივლის. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს არ არის მხოლოდ პარტიებს შორის ურთიერთობის საკითხი, არამედ ქვეყნებს შორის ურთიერთობის თემა და საქართველოსა და საბერძნეთს შორის ტრადიციული მეგობრული ურთიერთობები ამ კუთხითაც იქნება გათვალისწინებული. ამდენად, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ რატიფიკაცია წარმატებით ჩაივლის და საბერძნეთი შეუერთდება ევროკავშირის წევრ იმ 24 ქვეყანას, რომელთა პარლამენტებმა უკვე მოახდინეს შეთანხმების რატიფიკაცია.

ბოლო დროს საქართველოს ხელისუფლება აქტიურად განიხილავს საბერძნეთიდან ეკონომიკური კრიზისის გამო სამშობლოში დაბრუნებული ჩვენი მოქალაქეების დახმარების საკითხს. მიღებულია კონკრეტული გადაწყვეტილებები. გთხოვთ ქართველ ემიგრანტებს ამ გადაწყვეტილებების შინაარსი განუმარტოთ.

ბოლო დროს გავრცელდა ცნობები იმის შესახებ, თითქოს საქართველოს საკონსულოებში ათენსა და თესალონიკში წარმოიქმნა ჩვენი მოქალაქეების რიგები, რომლებიც სამშობლოში დაბრუნებას ცდილობენ. სრული პასუხისმგებლობით მინდა განვაცხადო, რომ მსგავსი არაფერი ხდება. საქართველოს მოქალაქეები სრულად არიან ინფორმირებული იმ შეზღუდვების შესახებ, რომლებიც საბერძნეთში დროებით წარმოიშვა და ყველას შეეხო. ამავდროს, ჩვენი მთავრობის რეაქცია იყო მყისიერი. რამდენადაც ჩვენს მოქალაქეებს აღარ ჰქონდათ წვდომა საბანკო მომსახურებასთან, თავდაპირველად ნაღდი ანგარიშსწორება დაეუშვით საკონსულო მომსახურებაზე, მოგვიანებით კი საერთოდ გადაუქმეთ კანონით განსაზღვრული მოსაკრებელი. შესაბამისად, საკონსულო მომსახურება არ შეფერხებულა, არ წარმოშობილა რიგები და რაიმე ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

კრიზისის გამწვავების დროს საბერძნეთს ესტუმრნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან გურგენიძე და დიასპორის მინისტრის მოადგილე ზაალ სარაჯიშვილი. მათ კონტაქტები ჰქონდათ შესაბამის სტრუქტურებთან. ჩვენი სურვილია ქართველი ემიგრანტების ჩართვა ბიზნეს პროექტებში და სხვა ინიციატივებში, რომლებიც საქართველოში ხორციელდება. საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი წარმომადგენლები გეგმავენ ინტენსიური კომუნიკაციის გაგრძელებას ემიგრანტულ ორგანიზაციებთან მათი პრობლემების მოსაგვარებლად.

საბერძნეთის ქარველობას განსაკუთრებით აწუხებს ფულადი გზავნილების შეჩერების საკითხი. ხომ



არ გაქვთ დაზუსტებული ინფორმაცია, როდის შეიძლება აღდგეს ეს პროცესი?

ეს საკითხი დააყენა ბატონმა ლევან გურგენიძემ ათენში ვიზიტისას თავის ბერძენ კოლეგასთან საუბრის დროს. სამწუხაროდ, ამ მხრივ მიმე მდგომარეობაა. შეზღუდვები მარტო ჩვეულებრივ მოქალაქეებს არ შეეხო, ანალოგიური პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ დიპლომატიური მისიებიც. იყო მცდელობა, ქართველების მომსახურებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს ეს საკითხი მოეგვარებინათ, მაგრამ პრობლემა საერთო ინსპექტორების ქვეშ მოექცა და ეს შეუძლებელი გახდა. კაპიტალის კონტროლის რეჟიმის შემსუბუქებას ყველანი მოუთმენლად მოველით და ვიმედოვნებთ, ეს მალე მოხდება.

რამდენიმე კვირის წინათ საბერძნეთმა მიიღო შესწორებები კანონში მოქალაქეობის შესახებ, რომელიც რამდენიმე ასეულ ჩვენს თანამემამულეს, რომლებმაც ბერძნულ სკოლაში ისწავლეს და ამჟამად სრულწლოვანები არიან, საბერძნეთის მოქალაქეობის მიღების საშუალებას აძლევს. აღნიშნული პირები, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, როგორც კი მიიღებენ საბერძნეთის მოქალაქეობას, ავტომატურად კარგავენ საქართველოს მოქალაქეობას. ამ კუთხით თუ მუშაობს მთავრობა, რომ მათ საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნება/დაბრუნება უპრობლემოდ შეძლონ?

როგორც იცით, არსებობს კანონი, რომელიც ითვალისწინებს, გამონაკლისის წესით, პრეზიდენტის მიერ ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებას უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ეს შეეხება, მათ შორის, იმ ადამიანებს, რომლებმაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებით საქართველოს მოქალაქეობა დაკარგეს. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენი ეს კითხვა ასახავს პრობლემას, რომელიც არსებობს და ჩვენ

ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის სტრუქტურებს სათანადო ინფორმაციას მივანვდით.

იმავე კანონით (N.4332/15) განსაზღვრულია ნაწილობრივი ლეგალიზაცია, რაც საბერძნეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების ნაწილს ბინადრობის მოწმობის მოპოვების საშუალებას აძლევს. კანონში ასევე აღნიშნულია, რომ (მუხლი 19, პარაგრაფი 7) სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგალითად, ორმხრივი შეთანხმების გზით, შესაძლებელია ბინადრობის მოწმობის გაცემა უცხო ქვეყნის მოქალაქეზე 2 წლის ვადით მისი შემდგომი გახანგრძლივების შესაძლებლობით. თუ მუშაობს საქართველოს მხარე, რომ საბერძნეთთან ასეთი სახის ხელშეკრულება გაფორმდეს?

რამდენადაც ეს კანონი ახალი მიღებულია და ძალაში ჯერ არ შესულა, ამ საკითხებზე მუშაობა ჯერ არ დაგვიწყია. გამოვიყენებთ ყველა შესაძლებლობას, რათა ჩვენმა მოქალაქეებმა შეძლონ ღირსეულად იცხოვრონ ამ ქვეყანაში.

თუ გაეცანით (ან ეცნობით) საბერძნეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების (მათ შორის, არალეგალების) მთავარ პრობლემებს და საბერძნეთში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე რა მიგაჩნიათ თქვენს (ელჩის და საელჩოს) უპირველეს ამოცანად საბერძნეთში მცხოვრები ქართველების (მათ შორის, არალეგალების) დაცვისა და მხარდაჭერის კუთხით?

ჩვენ გვქონდა რამდენიმე შეხვედრა დიასპორულ ორგანიზაციებთან. მათი მხარდაჭერა ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მიმაჩნია რომ, ჩვენი მთავარი ამოცანაა, ხელი შევეწყოთ საბერძნეთში მცხოვრებ ქართველების იდენტობის შენარჩუნებას. ისინი მუდმივად ზრუნავენ იმისათვის, რომ შეინარ-

ჩუნონ სულიერი კავშირი დედასამშობლოსთან. ამავდროს, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლის პროცესში უნდა ისმოდეს საბერძნეთის ქართული დიასპორის ხმა.

ჩვენს თანამემამულეებს საბერძნეთში აინტერესებთ არა მარტო თქვენი – ახალი ელჩის პოლიტიკური შეხედულებები და საქმიანობა დიპლომატიურ სამსახურში, არამედ პირადი ცხოვრების დეტალებიც. გავაცანით თქვენი ოჯახი.

საგარეო საქმეთა სამინისტროში უწყვეტად ვმუშაობ 1998 წლიდან. ნამუშევარი ვარ სხვადასხვა თანამდებობაზე. ბოლოს ვიყავი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი. მანამდე ვიმსახურე საქართველოს მისიებში ევროკავშირში (ბრიუსელში), ასევე, ეუთოში (ვენა) და ბუქარესტში. ეს ჩემი მეოთხე გრძელვადიანი მივლინებაა. ვარ დიპლომატიის მაგისტრი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი; მყავს მეუღლე და სამი შვილი. უფროსი ქალიშვილი სორბონის უნივერსიტეტის მაგისტრანტია, შუათანა ქალიშვილი არის ვენის უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტი სოციოლოგიის განხრით, უმცროსი ვაჟიშვილი ჩვენთან ერთადაა ათენში და სკოლაში აქ ისწავლის.

დაბოლოს, რას ეტყობით ჩვენს თანამემამულეებს, როგორც ელჩი და როგორც, უბრალოდ, საქართველოს მოქალაქე?

ამ მინაზე ცხოვრობს და მოღვაწეობს ჩვენი სამშობლოს ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, ჩვენი განუყოფელი სისხლი და ხორცი და ამ ადამიანების სამსახური არის ჩვენი დიდი პატივი და პრივილეგია.

კიდევ ერთხელ დიდი მადლობა და წარმატებებს გისურვებთ.